# ნესტან სულავა: პუბლიცისტი, რედაქტორი, მეცნიერი, დიდი რუსთველოლოგი



**ვიქტორ ნოზაძე როგორც საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერმა თავისი რუსთველოლოგიური სამეცნიერო მემკვიდრეობით ქართულ სააზროვნო სივრცეში დიდი სიახლე შეიტანა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა ქართველ მეცნიერთა შორის. მისი შრომებისათვის თვალის გადავლებაც კი გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევს, როგორ შეძლო ესოდენ რთული სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა ერთმა ადამიანმა მარტოკამ!**

ვიქტორ ნოზაძემ შესანიშნავი განათლება მიიღო, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ 1917-1920 წლებში თბილისში ჟურნალ-გაზეთების მუშაობაში მონაწილეობდა, ერთხანს იყო „საქართველოს რესპუბლიკის" თანარედაქტორი. 1920 წელს კი საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ დასავლეთ ევროპაში წარგზავნა 70 ახალგაზრდასთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად, რის შემდეგაც იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. საზღვარგარეთ მეცნიერულთან ერთად ერთხანს ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტური სტატიები გამოაქვეყნა. მისთვის მთავარი მაინც სამეცნიერო მოღვაწეობა იყო და უდიდესი კვალიც დატოვა რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში. რუსთველოლოგიურ პრობლემატიკაზე მუშაობა ვიქტორ ნოზაძემ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაიწყო ბერლინში. მეცნიერს ცხოვრება უწევდა გერმანიაში, ავსტრიაში, არგენტინაში, ჩილეში, ბრაზილიაში, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში; ბოლოს თავისი ძმის, გიორგის, ოჯახთან ერთად დასახლდა საფრანგეთში, პარიზში, ქართველთა სამკვიდრებელ ლევილში, სადაც მოწყობილი ჰქონდა ქართული სტამბა და სამუშაო კაბინეტი. ყველგან, სადაც უწევდა ცხოვრება, მუდმივად მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის განკითხვანის" ტომებზე, რომლებიც რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ფართო სპექტრით შესწავლას ისახავდა მიზნად და ქართველ ერს საუნჯედ დაუტოვა.

იგი განსაკუთრებული სიყვარულითა და ინტერესით იკვლევდა რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას, ხოლო თუ რა იყო მისთვის რუსთაველი და მისი პოემა, ყველაზე უკეთ გვაცნობს ჟურნალ „კავკასიონში" 1966 წელს გამოქვეყნებული მისი ესსე „შოთა რუსთაველს", რომელშიც რუსთაველი ქართველი ერისაგან განუყოფელ ნაწილად აღიქვა:

## ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური მოღვაწეობის შესახებ

**„სიყვარული, პოეზია და გალობა. სილამაზე და შვენიერება, კეთილობა და მოწყალება, მეგობრობა და ძმობა, სამართლიანობა და მისთვის თავდადება, მისთვის თავგანწირვა, სამშობლოს თავისუფლება, თანასწორობა ხალხთა, ყველაფერი ეს გარდაუვალია, წარუვალი, მუდმივი. - ყველაფერი ეს საკაცობრიოა. საერთაშორისო... ამას უგალობ შენ! და ქართველი ერი ასეთი წარმტაცი გალობით ტკბება! შენი მობხიბვლელი გალობითა და ბრძოლის მიზნებით შენ მასთან ერთად საერთაშორისო განათლებული საზოგადოების წრეში იმყოფები. ქართველი ერი სიყვარულითა და სიხარულით ინაწილებს და თავისად მიიჩნევს შენ მოძღვრებას. შენ ბრძანდები მისი უზენაესი მოძღვარი! და ქართველი ერი შენთან ერთად არის ამ საკაცობრიო, საერთაშორისო - ნატრიონისათვის ბრძოლაში და მხარ და მხარ მიგყვება შენ! და შენთან ერთად დარწმუნებული არის, რომ ეს ნატვრა ერთ დღეს სინამდვილედ გარდაიქცევა! ამიტომ ბრძანდებით შენ და ქართველი ერი განუყოფელი, განუშორებელი და განუყრელი! თქვენ იცოცხლებთ ერთად მარად ჟამს! იცოცხლებთ უკუნითი უკუნისამდე!.. სანამ მზე მზეობს! და ეს მსოფლიო ცოცხლობს!.."**

მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნაშრომები საქართველომდე მხოლოდ მცირე რაოდენობით აღწევდა, ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება მათ გამოქვეყნებისთანავე, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იცნობდა. ვიქტორ ნოზაძემ 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მარტოდმარტომ იმუშავა საკმაოდ მძიმე პირობებში, შედეგად ქართველ ერს დაუტოვა ექვსი რუსთველოლოგიური მონოგრაფია და რამდენიმე დაუმთავრებელი ნაშრომი. ესენია: ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1953; ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957; ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957; ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957; ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963; ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1975. „ვეფხისტყაოსანის" სიბრძნისმეტყველების, გულთმეტყველების, ტანთმეტყველების, ფსიქოლოგიის მეტყველებისა და სხვათა გამოუქვეყნებელი ნაშრომების უდიდესი ნაწილი გამოცემას ელოდება.

ვიქტორ ნოზაძის წიგნები საზღვარგარეთ გამოცემისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა მათი ტირაჟის გამო. იშვიათობა იყო საქართველოში, რადგან მძიმე იდეოლოგიურ-პოლიტიკური ვითარების გამო ისინი მხოლოდ მცირერიცხოვან მეცნიერთა პირად ბიბლიოთეკასა და რამდენიმე სახელმწიფო, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ამიტომ ნოზაძეთა საგვარეულომ, ვიქტორ ნოზაძის საზოგადოებამ, განიზრახა მისი შრომების მრავალტომეულის ხელახლა გამოცემა, რასაც, იმედია, დაემატება მის არქივში დარჩენილი მასალები, რომელთაგან ვიქტორ ნოზაძის მიერ ზოგი ისე იყო დაწერილი, რომ ცოტაღა აკლდა გამოსაცემად მომზადებას, ხოლო ნაწილი ფრაგმენტული და გეგმა-პროსპექტების სახითაა დაცული, მაგრამ არსებითად მაინც დამუშავებულის შთაბეჭდილებას ტოვებს და მომავალ მკვლევრებს სხვადასხვა პრობლემების დამუშავებისას წინასწარი სამუშაო მასალა მოპოვებული დახვდებათ.

**ცალკე აღნიშვნის ღირსია ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით პარიზში 1966 წელს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ჟურნალ „კავკასიონის" საგანგებო ტომის გამოცემა, რომელშიც ვიქტორ ნოზაძემ რამდენიმე რუსთველოლოგიური სტატია გამოაქვეყნა. გამოუცემელი ნაშრომების უდიდესი ნაწილი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამოსაცემად მომზადდა გურამ შარაძის ხელმძღვანელობით 1999-2005 წლებში.**

„ვიქტორ ნოზაძის საზოგადოების" მიერ უკვე გამოცემულია ოთხი ტომი: „ვეფხისტყაოსანის" ფერთამეტყველება, „ვეფხისტყაოსანის" ვარსკვლავთმეტყველება, „ვეფხისტყაოსანის" მზისმეტყველება, „ვეფხისტყაოსანის" საზოგადოებათმეტყველება. მათგან სამი ტომი მომზადდა გურამ შარაძის რედაქტორობით, მეოთხე ტომი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ტყემალაძემ. ამჟამად გამოსაცემად მომზადებულია „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება". ვიქტორ ნოზაძის ეს მონოგრაფია მოცუ-



ვიქტორ ნოზაძის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრის მონაწილეები საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მოძვის ვიქტორ ნოზაძის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგებთან

ლობით ყველაზე დიდია, რადგან მასში რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ყველაზე რთული, შოთა რუსთველისა და მისი პოემის, „ვეფხისტყაოსნის", რელიგიურ-სარწმუნოებრივი და მსოფლმხედველობრივი საკითხებია გამოწვლილვით გამოკვლეული.

ვიკტორ ნოზაძის მონოგრაფიების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ რუსთველოლოგიურ პრობლემატიკაზე მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუვლის და თანამედროვე მკვლევარი, სხვებთან ერთად, ენციკლოპედიური ღირებულების მქონე მის შრომებსაც უთუოდ მიმართავს, მისგან ბევრს შეიძენს, ბევრს გამოადგება გზამკვლევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევით საქმიანობასთან ერთად მეცნიერი თავის წიგნებს საკუთარი ხელით აწყობდა და ბეჭდავდა, თვითონ იყო ასოთამწყობიც და კორექტორიც, დამკაბადონებელიცა და ამკინძველიც.

**ვიკტორ ნოზაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს გამოკვლევას „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება", რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა პარიზში. ეს მონოგრაფია ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიურ მემკვიდრეობაში გამორჩეულია მისი განსაკუთრებული ღირებულებით რუსთველოლოგიის ისტორიაში. მასში რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ყველაზე რთული, რუსთველის აღმსარებლობისა და მისი პოემის რელიგიურ-სარწმუნოებრივი, მსოფლმხედველობრივი, ფილოსოფიური საკითხებია გამოწვლილვით შესწავლილი და გამოკვლეული.**

რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ კვლევის ადრეული ეტაპიდანვე გამოითქვა განსხვავებული შეხედულებები. საკითხის შესწავლას სამ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, იწყება ვახტანგ მეექვსის „თარგმანებიდან", გრძელდება მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში და გრძელდება ამჟამადაც. მხოლოდ ჩამონათვალიც კი საკმაოდ შთამბეჭდავია: მარი ბროსე, გ. გვაზავა, ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, პ. მირიანაშვილი, ბ. რამიშვილი, ი. ფანცხავა, პ. ინგოროყვა, კ. კაპანელი, ზ. ავალიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ალ. ბარამიძე, მ. ტოროშელიძე, ნ. ჟორდანია, გრ. ფერაძე, გ. ქიქოძე, ა. გაწერელია, შ. ნუცუბიძე, ს. იორდანიშვილი, კ. ჭიჭინაძე, მ. გოგიბერიძე, ე. შიშმარიოვი, გ. იმედაშვილი, გ. ნადირაძე, რ. სტივენსონი, მ. ბოურა, ვ. კერძევაძე და სხვ. მათგან უნდა გამოიყოს კ. კეკელიძე, რომელმაც სრულყოფილად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები რუსთველის აღმსარებლობისა და მისი პოემის რელიგიურ-სარწმუნოებრივი, ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკის შესახებ.

მეცნიერთა ძირითადი ნაწილი რუსთველს ტრადიციულად ქრისტიანული მსოფლმხედველობის მქონედ მიიჩნევდა, ზოგი – მუსლიმობის, ზოგი – სოლარიზმის, ზოგი – პანთეიზმის, ზოგი - მანიქეველობის და ზოგიც სხვა რელიგიის მიმდევრად სახავდა. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა რუსთველოლოგიაში იმ მართებული შეხედულების დამკვიდრებას, რომ რუსთველის მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი ნააზრევი, „ვეფხისტყაოსნის" შემეცნებითი ღირებულება ეროვნულ ძირებს და ქრისტიანულ თვალთახედვას ემყარება, რამაც დასაბამი მისცა რუსთველის მსოფლმხედველობის შესწავლას ანტიკური, შუა საუკუნეებისა თუ რენესანსის ეპოქის სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემებისა და საღვთისმეტყველო მსოფლხედვის საფუძველზე. კვლევის ყოველ ეტაპზე აქტუალური იყო ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში". ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კორნელი კეკელიძისა და 1932-1952 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძის) შრომებს (ნაშრომი „რუსთველის მსოფლმხედველობისათვის" გვიან, რუსთველის საიუბილეო – 1966 წელს, გამოქვეყნდა კრებულში „შოთა რუსთველი", ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა, გამომც.: „მეცნიერება", თბილისი, 1966), რომლებშიც ქრისტიანული მსოფლმხედველობის არსებითი საკითხებია აღძრული.

შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ გამოითქვა სხვადასხვა რიგის შეხედულებანი, მაგრამ ძირითადი მაინც ავტორის ქრისტიანული აღმსარებლობისა და თხზულების ქრისტიანული მსოფლმხედველობის აღიარება იყო. შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის ქრისტიანულად აღქმაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ვიკტორ ნოზაძის მონუმენტურ მონოგრაფიას „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება". მასში მრავალმხრივადაა შესწავლილი რუსთველის პოემაში ღმერთის, სამყაროს, ადამიანის ქრისტიანული აღქმა, საღმრთო სახელთა სიმბოლიკა, დეტალი, პოემაში ნახსენები ცალკეული ბიბლიური პერსონალია და პასაჟი, დიდი ადგილი უჭირავს ყოველი პერსონაჟის ქმედების ქრისტიანული თვალთახედვით განხილვას, ყოველი ეპიზოდი, ლექსიკური ერთეული ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალობაზე შეისწავლა და თითოეული საკითხი, რომელსაც შეეხო, ჯვარსახოვნებით წარმოაჩინა, რითაც ყოველი განსახილველი საკითხის ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში აღქმის საშუალება მისცა დაინტერესებულ მკითხველს.

**მონოგრაფიაში გამოკვეთილია ვ. ნოზაძის შეხედულება რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ: რუსთველი მას მიაჩნია ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე პოეტად და თვით პოემა - ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დამყარებულ მხატვრულ ნაწარმოებად. შესაბამისად, მკვლევარმა დეტალურად განიხილა მანამდე არსებული თეორიები მუსლიმობის, მანიქეველობის, სოლარიზმის, პაგანიზმისა და სხვა მოძღვრებათა პოემაში არსებობის შესახებ, უარყო ისინი და დამაჯერებლად დაასაბუთა რუსთველის პოემაში ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძვლები, რითაც მომავალ მკვლევრებს თავისი მონოგრაფიის ძირითად დებულებათა საფუძველზე ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხთა კვლევის პერსპექტივები დაუსახა.**

ცხადია, ყოველი იმ საკითხის განხილვა, რაც შოთა რუსთველის ქრისტიანული მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად იყო აუცილებელი, კიდევ მოითხოვდა კვლევას, რაც მისი მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ გაგრძელდა, რაც, შეიძლება ითქვას, ვიკტორ ნოზაძის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა შედეგადაც ჩამოყალიბდა. შეიძლება დასახელდეს შ. ნუცუბიძის, შ. ხიდაშელის, ნ. ნათაძის, ს. ცაიშვილის, შ. ღლონტის, მიხ. წერეთლის, მ. გიგინეიშვილის, ზ. გამსახურდიას, ე. ხინთიბიძის, მ. კარბელაშვილისა და სხვათა შრომები.

ვ. ნოზაძემ მონოგრაფიაში გამოყო შემდეგი საკითხები: 1. სახელისათვის ღმერთისა; 2. სიკვდილისათვის; 3. საიქიოსათვის; 4. ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი"; 5. „ვეფხისტყაოსანის" ისლამი. თითოეული საკითხი, რომელსაც შეეხო და რომლის თაობაზე თავისი კომპეტენტური მოსაზრება გამოთქვა ვიკტორ ნოზაძემ, საფუძვლიანადაა შესწავლილი მსოფლიოს ხალხთა მითოსური, ფილოსოფიური, რელიგიურ-საღვთისმეტყველო წყაროების გათვალისწინებით, ე. ი. ყოველი საკითხი განხილულია ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში. ნაშრომში წარმოჩენილია, ერთი მხრივ, მითოლოგიური, ფილოსოფიური, რელიგიური, ნაწილობრივ ესთეტიკური შეხედულებანი საღმრთო სახელთა შესახებ, რომლებიც შოთა რუსთველამდე იყო შემუშავებული საღვთისმეტყველო ლიტერატურაში და, მეორე მხრივ, საკუთრივ „ვეფხისტყაოსნური" დებულებები და ცნებები, რომელთა სათავეები მის წინარეკულტურულ ტრადიციებშია საძიებელი. მთელ მონოგრაფიას გასდევს დებულება იმის შესახებ, რომ რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძველი შორსაა ყოველგვარი შეზავებისაგან, ეკლექტიზმისაგან, სხვადასხვა მსოფლჭვრეტათა შერევისაგან; მსოფლმხედველობა „ვეფხისტყაოსანში" არის ერთიანი და მთლიანი, „პოემის საზოგადოების მსოფლჭვრეტა არის ხატი ქართველი განათლებული საზოგადოების მსოფლმხედველობისა. ამის უარყოფა „ვეფხისტყაოსნისა" ქართული საზოგადოების კულტურის არცოდნა და უარყოფა იქნებოდა" (ნოზაძე, 1963: 35).

**(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)**

№141. პარასკევი, 15 დეკემბერი, 2023 წელი.



# ნესტან სულავა: პუბლიცისტი, რედაქტორი, მეცნიერი, დიდი რუსთველოლოგი

## ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური მოღვაწეობის შესახებ

**ვ. ნოზაძე ითვალისწინებდა ანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელთა – პლატონის, არისტოტელეს, ემპედოკლეს და სხვათა მოძღვრებებს, ჩინურ, ინდურ, ბუდისტურ, ირანულ, სემიტურ, ეგვიპტურ, შუმერულ, ხეთურ მონაცემებს საღვთო სახელთა შესახებ. მოხმობილი აქვს ნეოპლატონიკოსთა სამივე სკოლის, სტოელთა, გნოსტიკოსთა, მანიქეველთა, სუფისტთა შეხედულებანი, ისაუბრა ასტროლოგიის მნიშვნელობაზე. ყოველივე ეს სჭირდებოდა სწორი შეხედულების წარმოსაჩენად სინქრონიულ-დიაქრონიულ ასპექტებში. რუსთველის მუსლიმობის, პაგანურობის, მანიქეველობის, პანთეისტურობისა და სხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლად მიჩნევის შესახებ გამოთქმული შეხედულებანი დასაბუთებულად უარყო და განაცხადა, რომ ამგვარი რამ გამოწვეულია „ვეფხისტყაოსნის" „გაუგებლობით, ზერელე განხილვითა ანდა სხვა მოსაზრებით".**

უმთავრესი, რასაც ეყრდნობა ვ. ნოზაძე რუსთველის მსოფლმხედველობის განსასაზღვრად და სრულყოფილად საჩვენებლად, ბიბლია და მასზე დაფუძნებული უმდიდრესი საღვთისმეტყველო ლიტერატურაა, რომლის საფუძველზე ახსნა ვეფხისტყაოსნური კატაფატიკურ-აპოფატიკური საღვთო სახელები: ერთი, შემოქმედი, ნათელი, ყოფილი, მყოფი, სახიერი, ცხოველი ღმერთი, ტკბილად მხედი, არსთა მხედი, მაღალი, სავსება, მოწყალე, მფლობელი გულისთქმათა, უფალი უფლებათა, მზიანი ღამე, ერთარსება ერთი, უჟამო ჟამი, უკვდავი, უცნაური, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი, უხილავი (ნოზაძე, 1963: 49-127). ასევე, სიღრმისეულადაა განხილული კეთილისა და ბოროტის არსობა-უარსობის პრობლემა დიონისე არეოპაგელის საღვთისმეტყველო შეხედულებათა დამოწმებით (ნოზაძე, 1963: 128-150), რომლის თაობაზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიონისე არეოპაგელი და პოემაში ორგზის დასახელებული ბრძენი დივნოს//დიონოსი ერთი და იგივე პირია, არეოპაგიტული მოძღვრება „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთ წყაროდაა მიჩნეული. რუსთველის პერსონაჟები და დიონისე არეოპაგელი ერთსა და იმავე მოსაზრებას გამოთქვამენ. მასვე დაუკავშირა ცნება „გონებამან დაფარულმან", რაც მხოლოდ ღმერთისგან შეიძლება იყოს და რის საფუძველიც ახალი აღთქმისეული მოძღვრებაა. ვ. ნოზაძის შეხედულებით, „ვეფხისტყაოსნის" თეოლოგიური ფილოსოფია არის ქრისტიანული, რომლის მიხედვით არსებობს მხოლოდ ერთი რეალობა: თვითსახიერება, თვითკეთილობა - ღმერთი, დასაბამი კეთილისა, საწყისი სიკეთისა. რადგან „ვეფხისტყაოსნის" არსი ემყარება მხოლოდ კეთილის არსებობას და არ ცნობს ბოროტს, მეტიც, მის სიმოკლეს გვიჩვენებს, ამიტომ შეუძლებელია „ვეფხისტყაოსანში" რაიმე დუალისტური შეხედულების აღმოჩენა (ნოზაძე, 1963: 144). მკვლევარმა საღვთისმეტყველო საკითხებს დაუკავშირა შოთა რუსთველის ესთეტიკური თვალთახედვაც, სახელდობრ, მშვენიერების საკითხი ფრაზის „უზადო ჰყოფს, არ აზადებს" განხილვისას, რომელიც საღვთო სწავლებაზე დაფუძნებულად მიიჩნია.

ვ. ნოზაძის მონოგრაფიაში (ნოზაძე, 1963: 329-464) გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსნის" ყოველი ის ტაეპი და დეტალი, რომლებიც წარმოაჩენენ რუსთველის შეხედულებებს სიკვდილის შესახებ, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსჯელობა ორგვარი სიკვდილის თაობაზე („მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა"). მასთან კავშირშია განხილული ბოროტ ძალთა, სატანის, ეშმას, მავნის, ღმრთისა მტრისა, ჯოჯოხეთისა და ქვესკნელის შესახებ მსჯელობები, აგრეთვე, აქვე საუბარია „კაცნი გრძნებისა მცოდნენის", დევებისა და ქაჯების შესახებ, რაც ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ სხვა მეცნიერთა მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტა.

გამოკვლევაში დასმულია საკითხი სულის რაობის, არსის შესახებ და გაშლილია მსჯელობა კითხვის ირგვლივ: რა არის სული? სად მიდის იგი? საკითხის გასარკვევად ვ. ნოზაძემ დაიმოწმა პირველყოფილი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენები, ბაბილონურ-ქალდეური, ინდური, ეგვიპტური, ებრაელთა სწავლანი სულის შესახებ, მოძღვრებები სულის შესახებ ჰომეროსიდან პლატონამდე; პლატონის, არისტოტელეს, პითაგორელთა და ნეოპითაგორელთა, ნეოპლატონიკოსთა, გნოსტიკური, მაზდეანური, მუსლიმური და მის განშტოებათა, მატერიალისტური, პანთეისტური, სუფისტური, და ბოლოს, ქრისტიანული მოძღვრებები. ქრისტიან წმინდა მამათაგან დამუშავებულია კლიმენტ ალექსანდრიელის, ორიგენეს, ირენეოსის, ათანასე დიდის, კაბადოკიელ მამათა, მაქსიმე აღმსარებლის შეხედულებანი; გათვალისწინებულია „ეროსის" დანტესეული გაგება. ყოველივე ჩამოთვლილის განხილვის საფუძველზე დაასკვნა: „სულის უკვდავება იმაში მდგომარეობს, რომ ხორცთაგან სულის გაცილების, გაყრის შემდეგ, სული საიქიოში განაგრძობს არსებობას ვით პიროვნული, თვითშეგნებითი, გონივრულ-ზნეობრივი, რომელსაც ახსოვს თავისი წარსული ცხოვრება. სულის უკვდავება არის სააქაო ცხოვრების საიქიოში გაგრძელება, მაგრამ სხვა სახით და სხვა პირობებში, თავისი თვითშეგნების დაუკარგავად და თავისი პიროვნობის მოუსპობლად ადამიანის პიროვნული არსის განუწყვეტელობა და ერთიგივეობა, – აი, ეს არის უკვდავება, – ქრისტიანული თვალსაზრისით" (ნოზაძე, 1963: 403). „სულს შეუძლია ღმერთს, ერთს იქ, საუკუნეში შეერთოს, გაუერთიანდეს;... სულს შეუძლია სულთა სირას – რიგს შეუერთდეს იქ, საუკუნეში; კაცის მარადიული სიცოცხლე „მას საუკუნოსა" არის პიროვნული, თავისი „მეობის" დაუკარგავად. ყველა ეს რწმენა არის „ქრისტიანული დებულება" (ნოზაძე, 1963: 410).



ვ. ნოზაძემ შეაჯამა „გამოკითხვის შედეგი" და დაასკვნა, რომ ქრისტიანული ღმერთი და „ვეფხისტყაოსნის" ღმერთი ერთი და იგივეა, განსაზღვრულია ქრისტიანული ღმერთის მიმართება ადამიანთან, გამოყოფილია ქრისტიანული ანგელოლოგია, დემონოლოგია და მათი მიმართებანი „ვეფხისტყაოსანთან". გამოთქმულია მოსაზრებები რენესანსისა და ჰუმანიზმის შესახებ, ამ ტერმინებს//ცნებებს მკვლევარი პირობითად იყენებს ევროპულ კულტურასთან შესადარებლად. ქართული კულტურისათვის საჭიროდ არ მიიჩნია ამ ცნებათა გამოყენება იმგვარი გაგებით, როგორც ეს დასავლური ქვეყნების მეცნიერულ აზროვნებაშია დამკვიდრებული, რადგან, მისი სიტყვით: „საქართველოს კულტურის ისტორიაში არსებითად არც რენესანსი და არც ჰუმანიზმი არ არსებულა, ვინაიდან მას ეს არ ესაჭიროებოდა: ამ ქართულ კულტურას არც კლასიკური ფილოსოფია – თეოლოგიის გზითაც – და არც კაცის ინტერესების ცხოვრების ცენტრში ყოფნა არ მოჰკლებია, ხან სუსტად, ხან ძლიერად, დროთა ვითარების მიხედვით" (ნოზაძე, 1963: 464-465).

მონოგრაფიის მეოთხე ნაკვეთში „ვეფხისტყაოსნის" ბიბლიისადმი მიმართების ცალკეული საკითხია აღძრული და განხილული, კერძოდ, ბიბლიური სახელები და ბიბლიური წიგნების ანარეკლი რუსთველის პოემაში, ნათესაური მოსაზრებები და გამოთქმები, რომელთა შესახებ სავსებით რეალურად შენიშნა, რომ „ეს ნარკვევი ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის" ზოგად აზრთა და საერთო შეხედულებათა მსგავსების ამომწურავი იყოს, – მე მას ვრაცხ პირველ ცდად ამ გზით" (ნოზაძე, 1963: 469). მართლაც, მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ ვ. ნოზაძის მიერ დასმულ საკითხთა უფრო სიღრმისეული კვლევა წარიმართა და სიახლეებიც გამოვლინდა.

მნიშვნელოვანია მონოგრაფიის ის მონაკვეთი, რომელშიც მოცემულია ისლამური კულტურისა და რელიგიის საფუძველთა მოძიება-გაანალიზება, რომელთა შესახებ ეკამათება იმ მეცნიერებს, განსაკუთრებით კი იუსტინე აბულაძეს, რომლებსაც „ვეფხისტყაოსანი" მუსლიმური სულისკვეთების გამომხატველ ნაწარმოებად მიაჩნდათ. დაკვირვებებმა და ანალიზმა ვ. ნოზაძე საპირისპირო აზრამდე მიიყვანა და განაცხადა: „ვეფხისტყაოსნის" გარემო და მსოფლმხედველობა მხოლოდ გარეგნულადაა აღმოსავლური კულტურის ნიშნების მატარებელი, პოემაში განვითარებული მოქმედების გეოგრაფიული არეალის წყალობით; ხოლო არსებითად იგი ქრისტიანული მხატვრული ნაწარმოებია და საკუთრივ ქართული სამყაროა წარმოსახული. მონოგრაფიის საბოლოო ზოგადი დასკვნის არსი გამოიხატა „ვეფხისტყაოსნის" საზოგადოების რაობისა და არსის განსაზღვრით, რომ იგი არის ქრისტიანული, ქართული, პატრონყმური საზოგადოება, დასავლეთ-ევროპული საზოგადოებრივი წყობის მსგავსი და მსოფლმხედველობით – ახლობელი ნათესავი. ქართული კულტურა არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შეთავსება-შერწყმის ნიადაგზე წარმოშობილი და ქართული სულით გაჟღენთილი (ნოზაძე, 1963: 549).

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ნოზაძის მონოგრაფიებს წინააღმდეგობები ხვდებოდა სამეცნიერო სივრცეში, – ერთხანს მისი ხსენებაც არ შეიძლებოდა და მკვლევრები მის შრომებს მინიშნებით ახსენებდნენ, კერძოდ, „ღმრთისმეტყველებაში" ან „ფერთამეტყველებაში" წერია, – ვიკტორ ნოზაძის ყოველი დებულება, მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის" ქრისტიანული მსოფლმხედველობის თაობაზე შემდგომი კვლევების საფუძველზე კიდევ უფრო განმტკიცდა, რამაც ვიკტორ ნოზაძის მონოგრაფიებს მყარი ადგილი მოუპოვა და დაუმკვიდრა რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

დასასრული. დასაწყისი იხ. №140